

დიალოგისშემდგრმი ბანათლების

(პროფესიული მზადების)

რეზიდენტურის

პროგრამა

სპეციალობა

თერაპიული სტომატოლოგია

ხანგრძლივობა – 11 თვე (1 წელი)

2013 წელი

I. პროგრამის ზოგადი დებულებები

1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

სახელმწიფო სარეზიდენტო პროგრამა „თერაპიული სტომატოლოგია“ განკუთვნილია უმაღლესი სამედიცინო განათლებისა (სტომატოლოგიის ფაკულტეტი – დიპლომირებული სტომატოლოგი) და საექიმო სპეციალობის მაძიებლის დამადასტურებილი მოწმობის მქონე პირთაოვის. პროგრამა გაწერილია 11 თვეზე და შედგება პროფესიული მზადებისაგან მოზრდილთა და ბავშვთა ორაპიულ სტომატოლოგიაში.

პროგრამის წარმატებით დაძლევის წინაპირობას დიპლომამდელი სამედიცინო განათლების ეტაპზე მიღებული ცოდნა და უნარ-ჩევევები წარმოადგენს. რეზიდენტს უნდა შეეძლოს ელექტრონული საინფორმაციო წყაროების მოპოვება, ანალიზი, სინთეზი და მიღებული ინფორმაციის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. რეზიდენტს უნდა გამოუმუშავდეს კოლეგებთან, როგორც ჯგუფური მუშაობის, ასევე ამ ჯგუფში საკუთარი ინდივიდობის წარმოჩენის უნარი. უნდა გამოავლინოს პასუხისმგებლობა, სამართლიანობა და საექიმო საქმიანობის კარგი ცოდნა, კომუნიკაციების პაციენტსა და მის ახლობლებთან. მას უნდა შეეძლოს ავადმოყოფის უკელა პრობლემის მოგარება ორაპიულ სტომატოლოგიაში და თანამედროვე მეთოდებით სრულყოფილი მკურნალობის უზრუნველყოფა. რეზიდენტს უნდა პქონდეს სურვილი და მზაობა მიიღოს და შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის უკელა მითითება და ინსტრუქცია, გაითვალისწინოს კრიტიკა. რეალურად უნდა შეაფასოს საკუთარი ძალები, ნაკლოვანებები. უნდა პქონდეს საკუთარი თავისადმი კრიტიკული მიღვომის და სათანადო დასკვნების გამოტანის უნარი, აგოს პასუხი საკუთარი შეცდომების გამო, რაც თავის მხრივ საკუთარი კომპეტენციის სრულყოფისა და პროფესიული ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივია.

რეზიდენტურის სრული კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ რეზიდენტი იღებს შესაბამის მოწმობას, ხოლო დამოუკიდებლად საექიმო საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად აბარებს სახელმწიფო სახელმწიფო გამოცდას. რეზიდენტურაში მომზადებულ სტომატოლოგს სერტიფირების შემდეგ უფლება აქვს, იმუშაოს თერაპევტ-სტომატოლოგად უკელა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი კუთვნილებისა.

პროგრამის მიზანი – საბაზისო სამედიცინო განათლების მქონე დიპლომირებული სტომატოლოგის კონკურენტურიან სპეციალისტად ჩამოყალიბება და მომავალი დამოკიდებელი საექიმო და სამედიცინო საქმიანობისთვის სათანადო გამოცდილების შეძენა.

პროგრამის ამოცანა – თერაპევტი-სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს პირის ღრუს ქსოვილებისა და ორგანოების, ყბა-კბილთა სისტემის დაავადებების დროულ ამოცნობას, მკურნალობას, პროფილაქტიკასა და მკურნალობაზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრულყოფას.

თერაპიული სტომატოლოგიის სარეზიდენტო პროგრამის დასრულებისას სპეციალისტის კომპეტენციები:

ზოგადი:

- ~ სტომატოლოგიური პაციენტის გასინჯვა და დაავადების დიაგნოსტიკა;

- ~ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მკურნალობის ძირითადი ტექნიკის განსაზღვრა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;
- ~ დაავადების პრევენციის ღონისძიებების დასახვა;
- ~ მკურნალობის სქემის შემუშავება, სამკურნალო საშუალებების მიზანმიმართული სელექცია და დანიშნულებისამებრ გამოყენება .

კერძო:

- ~ სტომატოლოგიურ დაავადებათა ანამნეზის შეჯერება;
- ~ კლინიკური გასინჯვის ყველა აღიარებული მეთოდის ფლობა;
- ~ კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის თანამედროვე საშუალებების მონაცემთა კვალიფიციური ინტერპრეტაცია, დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციების ფლობა;
- ~ აუცილებელია ორთოპანტომოგრაფიული და ვიზიოგრაფიული კვლევის ანალიზი, ნორმის დასადგენად და პათოლოგიური პროცესების შესაფასებლად;
- ~ ასეპტიკის და ანტისეპტიკის დაცვა სტომატოლოგიურ კაბინეტში პაციენტის მიღებისას; პაციენტისა და სტომატოლოგის უსაფრთხო მუშაობის ყველა პირობის მაქსიმალური დაცვა;
- ~ მკურნალობის დაწყებამდე, საჭიროების შემთხვევაში, პირის ღრუს პროფესიული პიგიენის ჩატარება შესაბამისი ინსტრუმენტების, აპარატურის და ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით (ფტორის შემცველი პროფესიული პასტები, ჯაგრისები, ფლოსები);
- ~ ჩვენების მიხედვით კბილთა უმტკივნეულო პრეპარირების და რესტავრაციისთვის შესაბამისი ადგილობრივი ანესთეზიის ტექნიკის შერჩევა და განხორციელება (არაინიექტიური, ინფილტრაციული ან რეგიონული) . ადგილობრივი ანესთეზიის ლოკალური და ზოგადი გართულებების მკურნალობა და პირველადი დახმარება;
- ~ უსაფრთხოების მიზნით პირის ღრუს საიზოლაციო საშუალებების გამოყენება კბილთა პრეპარირების და რესტავრაციის დროს (ტუჩისა და ლოფის რეტრაქტორები ,Rubber-Dum-ის სისტემა);
- ~ მარემინერალიზირებელი თერაპიის ჩატარება შესაბამისი საშუალებების გამოყენებით;
- ~ ჩვენების მიხედვით სილანტების შერჩევა და ფისურების ჩაბეჭდვა;
- ~ მგრძნობელობის დამაქვეითებელი სამკურნალო საშუალებების შერჩევა და გამოყენება.
- ~ კარიესული ღრუს პრეპარირება საბუქნ-საერსტავრაციო მასალის საიმედო ფიქსაციისთვის ბლეკის კლასიფიკაციის და სარესტავრაციო მასალის მიხედვით;
- ~ საჭიროებისამებრ სამკურნალო და საიზოლაციო საშუალებების შერჩევა და გამოყენება;
- ~ კბილთა რესტავრაციისათვის, საბუქნი მასალის და კარიესული ღრუების ლოკალიზაციის შესაბამისი ინსტრუმენტებისა და აქსესუარების გამოყენება;
- ~ კბილთა ბიომიმეტიკური და ესთეტიკური პარამეტრების გათვალისწინებით საბუქნ-საერსტავრაციო მასალის შერჩევა და რესტავრაცია.
- ~ კბილთა პოსტრესტავარაციული დამუშავების სისტემების და საშუალებების ზედმიწევნით ცოდნა და გამოყენება (ფინირება, პრეპოლირება და პოლირება);
- ~ კბილის ღრუს პრეპარირება სხვადასხვა ჯგუფის კბილთა ტოპოგრაფიის ცოდნაზე დაყრდნობით, არხთა სისტემის შესასვლელების ექსპოზიცია არხშიდა პრეპარირების სწორად და თავისუფლად ჩასატარებლად;
- ~ არხშიდა პრეპარირება აღმავალი (Step-Back) ან დაღმავალი (Crown-Down) მეთოდით, ხელის როტაციული ინსტრუმენტების საშუალებით ISO სტანდარტის მონაცემების მიხედვით;
- ~ არხების მედიკამენტოზური დამუშავებისთვის განკუთვნილი საირიგაციო

- საშუალებების ცოდნა და მათი გამოყენება პროტოკოლის თანმიმდევრული და ზუსტი დაცვით;
- ~ ენდოდონტიური მკურნალობის დაწყებამდე, მისი მსვლელობის პროცესში და დამასრულებელ ეტაპზე აუცილებელია ვიზუალური გამოკვლევა განხილვა და მონიტორინგი. პირველადი დიაგნოზის შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში საბოლოო დიაგნოზის დასმა და ფესვის არხის სამუაშაო სიგრძის დადგენა (ელექტრომეტრული მეთოდის ცოდნა Apex Locator-ის გამოყენებით);
 - ~ კბილის ფესვის არხთა სისტემის დროებითი დაბუქნის შემთხვევაში პლასტიური არაგამყარებადი პასტების შერჩევა და მათი ჩვენების მიხედვით გამოყენება. საბოლოო ობტურაცია ფილერებით, სილერებითა და Gutta-Percha-ს წკირებით ლატერალური კონდენსაციის ან/და თერმული კომპაქტიის მეთოდით;
 - ~ პულპის დაავადებათა მკურნალობა ვიტალური, დევიტალური ექსტრაკაციის მეთოდებით, მნელად გამავალი და გაუვალი არხების ენდოდონტიური მკურნალობის თავისებურებები და არხთა საიმპრეგნაციო საშუალებების შერჩევითი გამოყენება ჩვენების მიხედვით;
 - ~ პერიოდონტის დაავადებათა მკურნალობა;
 - ~ პირის ღრუს ლორწოვანი დაზიანებების მორფოლოგიური ელემენტების ამოცნობა და მათი დიფერენციერბა; დიაგნოზის დასმა, საჭიროების შემთხვევაში მასზე გამოცდილ კოლეგასთან კონსულტაცია; საბოლოო დიაგნოზის ახსნა პაციენტისთვის გასაგებ ენაზე, შესაძლო გართულებებისა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობა;
 - ~ პირის ღრუს კლინიკური ინდექსების განსაზღვრა (პიგიენური, პაროდონტალური სისხლდენის, მორყევის ხარისხის დადგენა);
 - ~ გამოკვლევის დამხმარე მეთოდების გამოყენება: ვიზუალური, ორთოპანტომოგრაფიული, პირის ღრუს მიკროფლორის მგრძნობელობის შესწავლა, სისხლის საერთო და ბიოქიმიური ანალიზი;
 - ~ პაროდონტალური ჯიბეების და პირის ღრუს ანტისეპტიკური დამუშავება;
 - ~ ზოგადი მკურნალობის სქემის შემუშავება, სამკურნალო საშუალებების მიზან მიმართული სელექცია და დანიშნულებისამებრ გამოყენება;
 - ~ კბილების არაკარიესული დაზიანებების (პიპოპლაზია, კბილის მინანქრის პიპერპლაზია, ფლუოროზი, კბილის ქსოვილების განვითარების მემკვიდრული და ტოქსიური დარღვევები, კბილის მაგარ ქსოვილთა ცვეთა, სოლისებური დეფექტი, ეროზია, კბილის ტრაგმული დაზიანებები, კბილის მაგარ ქსოვილთა ნეკროზი) დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენციის თანამედროვე მეთოდების შემუშავება;
 - ~ ბავშვათა და მოზარდთა ასაკში კბილის კარიესის (დაწყებითი, ზედაპირული, საშუალო, ღრმა კარიესი) მიმდინარეობის თავისებურებების გათვალისწინება დოროებით და მუდმივ კბილებში, მკურნალობისა და პრევენციის თანამედროვე მეთოდების შემუშავება, კბილთა დაბუქნა;
 - ~ პულპიტების მიმდინარეობის და მკურნალობის თავისებურებების გათვალისწინება ბავშვთა და მოზარდთა ასაკში, ფესვის არხების დაბუქნა;
 - ~ ბავშვთა და მოზარდთა ასაკში პერიოდონტიტების მიმდინარეობის და მკურნალობის თავისებურებების გათვალისწინება, ფესვის არხების დაბუქნა;
 - ~ პაროდონტის დაავადებების მიმდინარეობის და მკურნალობის თავისებურებების გათვალისწინება ბავშვთა ასაკში, პუბერტულ პერიოდში;

- ~ პირის დრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების (ტრავმული დაზიანებები, დაზიანებები მწვავე ინფექციური დაავადებების, ვირუსული ინფექციების დროს, სპეციფიკური ინფექციებით გამოწვეული დაზიანებები, პირის დრუს ლორწოვანი გარსის სოკოვანი ინფექციები, ალერგიული დაავადებები, ცვლილებები სისტემური დაავადებების დროს) მიმდინარეობის და მკურნალობის თავისებურებების განსაზღვრა ბავშვთა და მოზარდთა ასაკში;

2. სპეციალობის აღწერილობა

სტომატოლოგია დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობაა, რომელიც სამედიცინო მეცნიერების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს იგი სწავლობს პირის დრუს ჯანმრთელობის საკითხებს, პირის დრუს, ყბა-სახის მიღამოს მაგარი და რბილი ქსოვილების დაავადებებს პირის დრუში და გარემო ფაქტორების ზეგავლენას სტომატოლოგიურ სტატუსზე.

სტომატოლოგი ინტეგრირებული ცოდნის ექიმი-სპეციალისტია, რომელიც ფლობს სტომატოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკას, მკურნალობას, პრევენციულ დონისძიებებს და მიღებული აქვს დიპლომის შემდგომი პროფესიული განათლება.

სტომატოლოგიის სპეციალისტის მოვალეობაა ყბა-ქბილთა სისტემისა და პირის დრუს ორგანოების დაავადებების დროული ამოცნობა, პროფილაქტიკისა და მკურნალობაზე ორიენტირებული ჯანმრთელობის სისტემის სრულყოფა.

სტომატოლოგის სამუშაო სფეროებია

- სტომატოლოგიური კაბინეტი;
- მრავალპროფილიანი სტომატოლოგიური პოლიკლინიკები;
- ჯანდაცვის პირველადი რგოლები;
- საბავშო ბავშები, საშუალო სკოლები.

თერაპევტ-სტომატოლოგს უნდა შეეძლოს:

- ~ სტომატოლოგიური დაავადებების ანამნეზის შეკრება;
- ~ კლინიკური გასინჯვის ყველა აღიარებული მეთოდის გამოყენება;
- ~ კლინიკურ-ლაბორატორიული, ინსტრუმენტული და რენტგენოგრაფიული დიაგნოსტიკის თანამედროვე საშუალებების მონაცემთა კვალიფიციური ინტერპრეტაცია, უნდა ფლობდეს დიაგნოსტიკურ და სამკურნალო მანიპულაციებს;
- ~ ეტიოლოგიურად და პათოგენეზურად გამართული კონსერვატიული მკურნალობის დანიშვნა;
- ~ სტომატოლოგიური დაავადებების ადეკვატური მართვა დაავადების ნებისმიერ ეტაპზე;
- ~ სტომატოლოგიური პათოლოგიების პრევენციული დონისძიებების ადეკვატური მართვა;
- ~ აუცილებელია კომუნიკაციის დამყარება საშუალო მედპერსონალთან, სტუდენტებთან, ექიმებთან, პაციენტებთან და მათ ახლობლებთან;
- ~ აჩვენოს მზადყოფნა უწყვეტი პროფესიული განათლებისთვის, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია სტომატოლოგიის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისა და სრულყოფისთვის;
- ~ ასწავლოს და გაუზიაროს შექნილი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება კოლეგებს, რეზიდენტებს და სტუდენტებს;

- ~ აჩვენოს სამეცნიერო კვლევების, ნაშრომების აღეკვატური აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარი, ამავდროულად, თვითონაც შეეძლოს კვლევის წარმართვა ან მასში აქტიური მონაწილეობა.

თერაპიული სტომატოლოგია მოიცავს შემდეგი ქვემოჩამოთვლილი დაავადებების და პათოლოგიური მდგრადულების კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობას და პროფილაქტიკას:

- ~ კარიესი (ლაქის სტადია, ზედაპირული კარიესი, საშუალო კარიესი, ლრმა კარიესი) - დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა;
- ~ არაკარიესული დაავადებები (ჰიპოალიზია, კბილის მინანქრის ჰიპერპლაზია, ფლუოროზი, კბილის ქსოვილების განვითარების მექანიზმული და ტოქსიური დარღვევები, კბილის მაგარ ქსოვილთა ცვეთა, სოლისებური დეფექტი, ერზია, კბილის ტრაგმული დაზიანებები, კბილის მაგარ ქსოვილთა ნეკროზი) - დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა;
- ~ პულპის დაავადებები (მწვავე კეროვანი პულპიტი, მწვავე დიფუზური პულპიტი, ქრონიკული ფიბროზული პულპიტი, ქრონიკული ჰიპერტროფიული პულპიტი, ქრონიკული განგრენოზული პულპიტი, ქრონიკული გამწვავებული პულპიტი)- დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- ~ პერიოდონტის დაავადებები (მწვავე აპიკალური პერიოდონტიტი, ქრონიკული ფიბროზული პერიოდონტიტი, ქრონიკული მაგრანულირებელი პერიოდონტიტი, ქრონიკული გრანულომატოზური პერიოდონტიტი, ქრონიკული გამწვავებული პერიოდონტიტი) - დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა, კონსერვატიული მკურნალობა, ქირურგიული მკურნალობა;
- ~ პაროდონტის დაავადებები:
 - გინგივიტი - (კატარული, წყლულოვანი, ჰიპერტროფიული)- დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა, კონსერვატიული მკურნალობა;
 - პაროდონტიტი - დიაგნოსტიკა, კონსერვატიული მკურნალობა;
 - პაროდონტოზი - დიაგნოსტიკა, კონსერვატიული მკურნალობა;
 - პაროდონტოლიზი - (პაროდონტის ქსოვილების პროგრესული ლიზისით მიმდინარე იდიოპათიური დაავადებები) - დიაგნოსტიკა, კონსერვატიული მკურნალობა;
 - პაროდონტომები- დიაგნოსტიკა;
- ~ ლორწოვანი გარსის, ენისა და ტუჩის დაავადებები/ანომალიები:
 - ტრაგმული დაზიანება (მექანიკური, ქიმიური, ფიზიკური)- დიაგნოსტიკა, კონსერვატიული მკურნალობა;
 - ინფექციური დაავადებები: ვირუსული, ვენისანის წყლულოვან-ნეკროზული სტომატიტი, ბაქტერიული დაავადებები, მიკოზები, ვენერიული დაავადებები- დიაგნოსტიკა, მკურნალობა;
 - ალერგიული დაავადებები: მრავალფორმიანი ექსუდაციური ერითემა, ქრონიკული რეციდივული აფტოზური სტომატიტი- დიაგნოსტიკა , მკურნალობა;
 - პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ცვლილებები დერმატოზების დროს: პერფიგუსი , წითელი ბრტყელი ლიქენი- დიაგნოსტიკა, მკურნალობა;
 - პეილიტები: ექსფოლიაციური პეილიტი, კონტაქტური ალერგიული პეილიტი, მეტეოროლოგიური პეილიტი- დიაგნოსტიკა, მკურნალობა;
 - კიბოსტინარე დაავადებები- დიაგნოსტიკა.
 - ჩვენების მიხედვით ადგილობრივი გაუტკივარების სხვადასხვა მეთოდის (არაინიექციური, ინფილტრაციული, რეგიონული) შერჩევა და გამოყენება ბაგშვებსა და მოზრდილებში;

ადგილობრივი გაუტკიფარების ლოკალური და ზოგადი გართულებების მკურნალობა და პირველადი დახმარება;

ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევის ჩამონათვალი, რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება უნდა შეეძლოს თერაპევტ-სტომატოლოგს.

- ~ კლინიკურ-დიაგნოსტიკური კვლევის მეთოდები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია;
- ~ რენტგენოლოგიური გამოკვლევის მეთოდები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია;
- ~ ბიოქიმიური კვლევის მეთოდები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია;
- ~ იმუნოლოგიური კვლევის მეთოდები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია;
- ~ მორფოლოგიური კვლევის მეთოდები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია;
- ~ სისხლის საერთო ანალიზის ინტერპრეტაცია;
- ~ სისხლის იმუნოლოგიური და ბაქტერიული კვლევის ინტერპრეტაცია;
- ~ სისხლის სეროლოგიური კვლევის ინტერპრეტაცია;
- ~ პირის დრუს მიკრობიოლოგიური კვლევის ინტერპრეტაცია;
- ~ შარდის საერთო ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია;

თერაპევტი-სტომატოლოგის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები (დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციები)

ყბა-კბილთა ინდექსების განსაზღვრა; ვიტალური შედებების მეთოდი, კარიეს-დეტექტორის გამოყენება; ფლუორესცენციული მეთოდი; საკვლევი მასალის აღება მიკრობიოლოგიური გამოკვლევისთვის; ბიოფსიური მასალის აღება მორფოლოგიური კვლევისთვის, ფუნქციის ჩატარება მორფოლოგიური ციტოლოგიური და ჰისტოლოგიური კვლევისთვის; ზონდირება, პერკუსია, პალპაცია; ელექტროოდონტოდიაგნოსტიკის, თერმოდიაგნოსტიკის განსაზღვრა;

აპექსლოგატორის გამოყენება; კლინიკური ინდექსების განსაზღვრა; კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების სწორი ანალიზის უნარი.

ადეკვატური ანესთეზიის ჩატარება; კარიესული და კბილის დრუს პრეპარირება, მედიკამენტური დამუშავება და დაბუნა, მარემინერალიზებელი თერაპიის, არეშიდა ელექტროფორეზის, ელექტროკარიაგულაციის ჩატარება; პროფესიული ჰიგიენის ჩატარება; პაროდონტის და ლორწოვანი გარსის დაავადებების ადეკვატური კონსერვატიული მკურნალობა.

იმ დაავადებების და პათოლოგიური მდგომარეობების ჩამონათვალი, რომელთა პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, პირველადი დახმარება და მკურნალობა უნდა შეეძლოს თერაპევტ-სპეციალისტს

- ~ კარიესული და არაკარიესული დაავადებები;
- ~ პულპის დაავადებები;
- ~ პერიოდონტის დაავადებები;
- ~ პაროდონტის დაავადებები;
- ~ ლორწოვანი გარსის, ენის და ტუჩის დაავადებები/ანომალიები;

თერაპევტ-სტომატოლოგს უნდა შეეძლოს შემდეგი გადაუდებელი დაავადებების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, პირველადი დახმარება

- ~ ჰიპერტონიული კრიზი;
- ~ ანაფილაქსიური შოკი;
- ~ კვინკეს შეშუპება;

- ~ ბრონქიალური ასთმა;
- ~ კრუნჩება.

3. პროფესიული მზადების სტრუქტურა

თერაპიული პრაქტიკის ექიმ-სტომატოლოგის პროფესიული მზადების 11 თვე ისეა დიფერენცირებული, რომ მომავალი სპეციალისტი გადის როგორც თეორიულ მზადებას /საფანტომო კურსს/, რა დროსაც ხდება ექიმის მანუალური უნარ ჩვევების ათვისება და დახვეწა, ისე კლინიკურ საქმიანობას, რომლის დროსაც აწარმოებს მოზრდილთა და ბავშვთა მიღებას და მკურნალობას კლინიკაში.

თერაპიული სტომატოლოგია

- მოზრდილთა და ბავშვთა ოპერაციული ოდონტოლოგია და კბილთა რესტავრაცია (4 თვე);
- მოზრდილთა და ბავშვთა ენდოდონტია (4 თვე);
- მოზრდილთა და ბავშვთა პაროდონტისა და პირის დრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები (3 თვე).

პროგრამის კლინიკურ დისციპლინებს რეზიდენტი მოდულების სახით გაივლის.

პროგრამის კლინიკურ მოდულებში დაბალანსებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული საქმიანობა. რეზიდენტურის პროგრამა მოიცავს რეზიდენტის შემდეგ აქტივობას:

- a) თეორიული მზადება – ლექციებს, სემინარულ მეცადინეობებს, სპეციალური ლიტერატურის დამუშავებას, რეფერირებას, წყაროთა ნუსხის შედგენას, კვლევით მუშაობას, რეფერატული სასიათის მოხსენების მომზადებას, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებში მონაწილეობას. თეორიული მომზადება ხორციელდება საქმიანობიდან მოუწყვეტლივ. თვითმომზადების მიზნით კვირაში ერთი დღე სემინარული მეცადინეობის დღეა.
- b) რეზიდენტურაში ექიმის პრაქტიკული დაოსტატების პროცესში უდიდესი ყურადღება მის წინაკლინიკურ მომზადებას ეთმობა. ამ ეტაპს რეზიდენტები საფანტომო კურსზე გადიან. მსოფლიოს ყველა წამყვან სტომატოლოგიურ სკოლას თანამედროვე დონეზე აღჭურვილი საფანტომო კლასი აქვს, სადაც მომავალი კლინიცისტები პრაქტიკულ მანიპულაციებში ოსტატდებიან.

თერაპიულ სტომატოლოგიაში წინაკლინიკური (საფანტომო) კურსზე რეზიდენტმა უნდა შეძლოს:

- პლასტიკური და ადამიანის ექსტრაგირებული კბილების პრეპარირება და დაბუნება;
- ენდოდონტიურ ბლოკებზე არხშიდა ენდოდონტიური პრეპარირება Step-Back და Crown Down ტექნიკით;
- ადამიანის ექსტრაგირებულ კბილებზე არხშიდა ენდოდონტიური პრეპარირება;
- საფანტომო ოკლუდატორებზე კბილ-დრძილოვანი ნაპრალის კიურებაჟი და ულტრაბაგერითი სკეილერების გამოყენება;
- g) პრაქტიკული საქმიანობა – ავადმყოფთა მიღება. რეზიდენტი მონაწილეობს საინტერესო და არაორდინარული კლინიკური მდგომარეობების განსჯაში. კლინიკური სიტუაციების გარჩევაში, კლინიკურ კონფერენციებში.

რეზიდენტურაში მზადების მთელ პერიოდში რეზიდენტს უფლება აქვს დამოუკიდებლად გამოთქვას თავისი აზრი, როგორც თეორიულ საკითხებზე, ასევე ამ თუ იმ დაავადების ხასიათზე, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკაზე.

თერაპევტი-სტომატოლოგის პროფესიული მზადების ძირითადი მეთოდია რეზიდენტის მიერ სამკურნალო, დიაგნოსტიკური და პროფილაქტიკური მუშაობის უმუალო შესრულება მოდულზე პასუხისმგებელი პირის მეთვალყურეობის პირობებში. მოდულზე პასუხისმგებელ პირს პროგრამების დღი არჩევა.

მოდულზე პასუხისმგებელ პირს რეზიდენტებთან პედაგოგიური მუშაობისთვის ოფიციალურად სპეციალური დრო აქვს გამოყოფილი. მოდულზე პასუხისმგებელი პირი თავისი პროფესიული საქმიანობის დიდ ნაწილს სწავლების პროგრამას უთმობს.

მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ რეზიდენტებისთვის ჩატარებული ტრენინგის დრო ძირითადად პაციენტებთან პრაქტიკულ მუშაობას უნდა დაეთმოს და იგი მიმართული უნდა იყოს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვეულების (დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პროფილაქტიკის პრინციპებისა და მეთოდების) სრულყოფილი ათვისებისკენ.

მოდულზე პასუხისმგებელ პირს ანგარიშვალდებულია პროგრამ-ხელმძღვანელის წინაშე.

რეზიდენტების მუშაობის პირობები:

1. პროფესიული მზადების პროგრამით გათვალისწინებული პერიოდის მანძილზე რეზიდენტი თავის მუშაობას პროგრამის ხელმძღვანელისა და მოდულზე პასუხისმგებელი პირის - კლინიკური ხელმძღვანელის ზედამედველობის ქვეშ წარმართავს;
2. სამედიცინო დაწესებულებებში რეზიდენტის პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 24 სთ-ს კვირაში.
3. რეზიდენტს კვირაში უნდა ჰქონდეს 1 დასვენების დღე.
4. საგანმანათლებლო მიზნით კლინიკური ბაზის განყოფილებაში რეგულარულად უნდა ტარდებოდეს სამედიცინო კონფერენციები და სემინარები, რომლებიც უნდა დაეთმოს მედიცინის, ასევე მისი ცალკეული სპეციალობების აქტუალური პრობლემების, კლინიკური დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის თანამედროვე მეთოდების განხილვას უახლესი სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე. რეზიდენტი სისტემატურად უნდა მონაწილეობდეს ზემოაღნიშნულ ღონისძიებებში.
5. სტომატოლოგიაში რეზიდენტის კლინიკური დაოსტატების აუცილებელი პირობა გამოცდილ სპეციალისტთან ასისტირებაა. გარდა თეორიული მომზადებისა და პაციენტების მიღებისა მომავალმა სტომატოლოგმა კვირაში 1 დღე (1 ცვლა - 5სთ) ექიმ-სპეციალისტებთან (მათ შორის მოდულზე პასუხისმგებელ პირთან) ასისტირებას უნდა დაუთმოს.

რეზიდენტის ცოდნის დონე ყოველი მოდულის გავლის შემდეგ და სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ მოწმდება.

რეზიდენტი საფანტომო კურსიდან კლინიკურ საქმიანობაზე გადასვლამდე პარებს ტესტირებულ გამოცდას პრაქტიკულ უნარ-ჩვეულებს, პასუხობს სიტუაციურ ამოცანებს.

კლინიკური საქმიანობის დროს რეზიდენტი ასრულებს შესაბამის კლინიკურ მოდულებში გაწერილი სადიაგნოსტიკო, სამკურნალო და დაავადებათა პრევენციისკენ მიმართული მანიპულაციების განსაზღვრულ რაოდენობას. იქნება ავადმყოფობის ისტორიის გაფორმებისა და წარმოების უნარ-ჩვეულებს.

პრაქტიკული უნარ-ჩვეულების ათვისების ხარისხის შეფასება ხდება პროგრამ-ხელმძღვანელის ან მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ ყოველი მოდულის გავლის შემდეგ. განისაზღვრება

პრაქტიკული სამუშაოს რა ნაწილს ასრულებს რეზიდენტი დამოუკიდებლად, პედაგოგის დახმარებით.

4. პედაგოგიური პერსონალი, კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო რესურსები

სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მოდულზე პასუხისმგებელი პირი მოდულით განსაზღვრულ სპეციალობაში სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე ექიმი-სპეციალისტია, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

პროგრამაში დაბალანსებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული საქმიანობა. რეზიდენტურის პროგრამა მოიცავს:

- თეორიულ მზადებას – ლექციებს, სემინარებს, მეცადინეობებს, ფუნდამენტური სახელმძღვანელოებისა და თანამედროვე სპეციალური ლიტერატურის დამუშავებას, რეფერირებას, წყაროთა ნუსხის შედგენას, პრეზენტაციების მოწყობას და საინტერესო კლინიკური შემთხვევების წარმოდგენა-გარჩევას, ასევე სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში და მასტერ-კლასებში მონაწილეობას. თეორიული მომზადება პრაქტიკული საქმიანობიდან მოუწყვეტლივ ხორციელდება. თვითმომზადების მიზნით კვირაში ერთი დღე სემინარული მეცადინეობის დღეა.
- რეზიდენტის ძირითადი საქმიანობა მისი პრაქტიკული აქტივობა – პაციენტთა მიღებაა. მოდულზე პასუხისმგებელი პირის შერჩევით და უშუალო ხელმძღვანელობით იგი ახდენს თითოეული პაციენტის მკურნალობას – ადგენს საჭირო გამოკვლევებისა და მკურნალობის გეგმას, მართვს მას და აწარმოებს სპეციალურ სამედიცინო დოკუმენტაციას. გარდა უშუალოდ მის მიერ განხორციელებული სამედიცინო საქმიანობისა, რეზიდენტი ჩართულია კლინიკის სამედიცინო პერსონალის მიერ (მათ შორის მისი ლოკალური ხელმძღვანელის) პაციენტების მიღების პროცესში უწევს რა მათ ასისტირებას. ცალკეული საინტერესო შემთხვევა უნდა იყოს შიდა კლინიკური კონფერენციების მსჯელობის და განხილვის საგანი.

რეზიდენტურაში მზადების მთელ პერიოდში რეზიდენტს უფლება აქვს, დამოუკიდებლად გამოთქას თავისი აზრი, როგორც თეორიულ საკითხებზე, ასევე სტომატოლოგიური დაავადებების ირგვლივ: მათ ხასიათზე, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკაზე.

ექიმ-სტომატოლოგის პროფესიული მზადების შეფასების ძირითადი მეთოდი რეზიდენტის მიერ სამკურნალო, დიაგნოსტიკური და პროფილაქტიკური მუშაობის უშუალო შესრულებაა, რომელიც რეზიდენტურის მოდულზე პასუხისმგებელი პირის მეთვალყურეობის პირობებში ტარდება. მოდულზე პასუხისმგებელ პირს პროგრამ-ხელმძღვანელი არჩევს.

მოდულზე პასუხისმგებელ პირს ოფიციალურად აქვს გამოყოფილი სპეციალური დრო რეზიდენტებთან პედაგოგიური მუშაობისთვის. მოდულზე პასუხისმგებელი პირი თავისი პროფესიული საქმიანობის დიდ ნაწილს სწავლების პროცესს უთმობს.

მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ რეზიდენტებისთვის ჩატარებული ტრენინგის დრო ძირითადად უნდა დაეთმოს პაციენტებთან პრაქტიკულ მუშაობას და მიმართული უნდა იყოს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების (დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პროფილაქტიკის პრინციპებისა და მეთოდების) სრულყოფილი ათვისებისაკენ.

მოდულზე პასუხისმგებელი პირი ანგარიშვალდებულია პროგრამ-ხელმძღვანელის წინაშე.

პროფესიული მზადების პროგრამით გათვალისწინებული მთელი პერიოდის განმავლობაში:

1. რეზიდენტი თავის მუშაობას წარმართავს პროგრამის ხელმძღვანელისა და მოდულზე პასუხისმგებელი პირის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ;
2. სამედიცინო დაწესებულებებში რეზიდენტის პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 24 საათისა კვირაში;
3. რეზიდენტის კვირაში უნდა ჰქონდეს დასვენების 1 დღე;
4. კლინიკური ბაზები და მათი განყოფილებები ვალდებული არიან რეგულარულად ჩაატარონ სამედიცინო კონფერენციები და სემინარები, რომლებზეც განიხილება მედიცინის და მისი ცალკეული სპეციალობების აქტუალური პრობლემები, კლინიკური დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის თანამედროვე მეთოდები, მოხდება უახლესი სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა. რეზიდენტი სისტემატურად უნდა მონაწილეობდეს ზემოაღნიშნულ ღონისძიებებში.

რეზიდენტურაში მზადების პერიოდში რეზიდენტმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოში მოწვევლი უცხოელი სპეციალისტების მიერ ჩატარებულ ლექცია, მასტერ-კლასებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში.

რეზიდენტი მონაწილეობს თეორიულ მეცადინეობებში, რომელსაც ატარებს მოდულზე პასუხისმგებელი პირი.

- რეზიდენტი წარმოადგენს საინტერესო პაციენტს, მისი ავადმყოფობის ისტორიას და გამოკვლევის შედეგებს, ჩატარებული მკურნალობის სქემას და შედეგებს.

რეზიდენტი მონაწილეობს დისკუსიებში სტომატოლოგიის აქტუალურ საკითხებზე, რომელსაც წარმართავს შესაბამისი სფეროს სპეციალისტი, ახდენს სხვადასხვა დაავადებათა მოდელირებას, აღგენს და პასუხობს სიტუაციურ ამოცანებს.

მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ შერჩეული კონკრეტული საკითხის ირგვლივ რეზიდენტები წარმოადგენენ საერთაშორისო პუბლიკაციებიდან 3 სტატიას და მსჯელობენ მის ირგვლივ.

ცოდნის შეფასების მეთოდები

რეზიდენტის სწავლის მონიტორინგი მისი თეორიული და პრაქტიკული აქტივობის მუდმივ კონტროლსა და შეფასების განხილვას ეფუძნება. რეზიდენტის თეორიული ცოდნის შეფასება ყოველი მოდულის გავლის შემდეგ და სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ ხდება. თეორიულ ცოდნას მოდულზე პასუხისმგებელი პირი ტესტირებითა და კლინიკური სიტუაციების მოდელირებით ამოწმებს. კლინიკური საქმიანობის დაწყებამდე რეზიდენტმა პრაქტიკული უნარ-ჩვევები ფანტომულაჟზე უნდა შეასრულოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს კლინიკაში პაციენტების მიღება და მათი მკურნალობა.

კლინიკური აქტივობისას მოდულზე პასუხისმგებელი პირი ამოწმებს რეზიდენტის მიერ გაწეულ საქმიანობას და აფასებს თითოეულ იმ პროცედურას, რომელიც სილაბუსით (პროგრამითა) გაწერილი. მოდულზე პასუხისმგებელი პირივე განსაზღვრავს პრაქტიკული საქმიანობის რა მოცულობა შეასრულა რეზიდენტმა და რა საქმიანობა გასწია მან გამოცდილ სპეციალისტთა დახმარებით.

6. პროგრამის მართვა და ადმინისტრირება

რეზიდენტურის პროგრამის მართვასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი არიან – რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის დირექტორატი, მოდულზე პასუხისმგებელი პირები, რეზიდენტები.

პროგრამის ხელმძღვანელის/დირექტორის მოვალეობები:

1. რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთა რეზიდენტურაში მისაღები პროგრამის განსაზღვრაში მონაწილეობა აკრედიტებულ დაწესებულებაში/სასწავლებლში დადგენილი წესის მიხედვით კანონის შესაბამისად.
2. დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტირებული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა, პროგრამის მიმდინერებაზე კონტროლი.
3. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის განსაზღვრა მოდულზე პასუხისმგებელი პირისა და სამედიცინი დაწესებულების მითითებით.
4. მოდულზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის ზედამხედველობა და შეფასება.
5. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე კონტროლი.
6. მოდულზე პასუხისმგებელი პირის/პირების მონაწილეობით დადგენილი წესის მიხედვით რეზიდენტის ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული საქმიანობის ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება.
7. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი ეტაპობრივი და/ან საბოლოო შეფასებისას, დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის წარდგენა აკრედიტებული დაწესებულების/სასწავლებლის ადმინისტრაციაში რეზიდენტის გარიცხვის შესახებ.
8. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის პროგრამის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასებისას პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი რეზიდენტთან/ მაძიებელთან შეთანხმებით განსაზღვრავს მოდულის/მოდულების ნუსხას, რომლებიც მან უნდა გაიაროს განმეორებით.
9. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის მიერ საზღვარგარეთ გავლილი პროგრამის (მოდულების) შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ჩათვლა/არჩათვლის თაობაზე დასკვნის გაცემა.

მოდულზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობები:

1. სამედიცინო დაწესებულებაში რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველყოფა კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) შესაბამისად: კვალიფიციური კონსულტაციებით, სასწავლო მასალებით (სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურა, სხვა პროგრამული საკითხები). სამედიცინო დაწესებულებაში პროგრამის მიმდინარეობის შეუფერხებელი წარმართვა.
2. პროგრამის ხელმძღვანელთან/დირექტორთან ერთად რეზიდენტების/სპეციალობის მაძიებლების ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებაში მონაწილეობა.
3. რეზიდენტთან/სპეციალობის მაძიებელთან თეორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის საქმიანობის განსაზღვრული დროის დათმობა.
4. თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელისთვის/დირექტორისთვის რეზიდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა.
5. რეზიდენტის/სპეციალობის მაძიებლის დღიურში რეზიდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხელმოწერით დადასტურება.
6. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელთან/დირექტორთან პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კონსულტირება.

რეზიდენტის უფლება/მოვალეობანი:

1. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს პროგრამის დაუბრკოლებელი დაძლევისათვის მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა (კვალიფიციური ხელმძღვანელი, საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი);
2. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს პროგრამის კურიკულუმის დარღვევის ან შეფერხების შესახებ წერილობით აცნობოს სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებელის ხელმძღვანელობას;
3. რეზიდენტს/სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს განაგრძოს პროფესიული მზადება საზღვარგარეთ ან გადავიდეს სხვა აკრედიტებულ დაწესებულება/სასწავლებელში;
4. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია შეასრულოს რეზიდენტურის პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;
5. რეზიდენტი/სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია პროგრამით განსაზღვრული და შესრულებული საქმიანობა დააფიქსიროს პერსონალურ დღიურში;
